სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,თსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობის ბაკალავრიატის ერთ სტუდენტს, ყოველსემესტრულად 5 თვის ვადით.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა კალენდარული სასწავლო სემესტრის შედეგების გათვალისწინებით. სტიპენდია კონკურსის გზით გადაეცემა იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებით სასწავლო პროცესში.

2. ერთი და იმავე პირს სტიპენდია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ.

3. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ სემესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია. კომისია იქმნება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრში კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (GPA- არანაკლებ 3.5-ისა).

3. არანაკლებ 3.5 GPA-ის მქონე საუკეთესო აკადემიური მოსწრების კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიატის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ბიზნესის შესწავლის სფეროდან სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ) სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

გ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ , ,,ბ“ და ,,გ” ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

5. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება თსუ რექტორის ბრძანებით.

6. სტიპენდია ინიშნება კომისიის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

7. სტიპენდია გაიცემა ყოველსემესტრულად (სემესტრის ხანგრძლივობა 5 თვე), თვეში 250 ლარი (საშემოსავლოს გადასახადის ჩათვლით).

8. სტიპენდია ინიშნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის გიორგი ღაღანიძის ინიციატივით და მისივე დაფინანსებით.

9. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა კონკრეტული სემესტრის კონკურსის გამოცხადებამდე სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა